პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერწყმიდით!

კომუნისტი

ს.ა.ფ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და ს.ა.ფ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 13 იანვარი, 1943 წ. № 10 (6685). ფასი 20 კაპ.

მოსკოვი, ს.ა.ფ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი ამხანაგ სტალინს

თქვენმა მისსალმებელმა დეპეშამ, რომელიც გამოხატავს წითელი არმიის მადლობას უზბეკეთის კოლმეურნეებისა და კოლმეურნე ქალებისადმი, რესპუბლიკის ყველა მშრომელთა შორის ახალი პატრიოტული აღფრთოვანება გამოიწვია. რამდენიმე დღის განმავლობაში უზბეკეთის სსრ კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა „უზბეკეთის კოლმეურნის“ ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად ფონდში დამატებით შეიტანეს 40.169.000 მანეთი და თავიანთი პირადი მარაგიდან დამატებით ჩააბარეს 50.000 ფუთი სურსათი ქალაქების მშრომელთა კვების გასაუმჯობესებლად. უზბეკეთის კოლმეურნეებმა და კოლმეურნე ქალებმა წინათ შეგროვებულ თანხებთან ერთად ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად შეიტანეს 300.169.000 მანეთი და ქალაქების მუშებისა და ინტელიგენციის კვების გასაუმჯობესებლად 300.000 ფუთი სხვადასხვანაირი სურსათი. მარცვლეულ კულტურათა სახელმწიფოებრივ შესყიდვასთან ერთად, სახელმწიფოს წინაშე ყველა ვალდებულების შესრულების გადამეტებით წითელი არმიისა და ქალაქთა მცხოვრებლებისათვის სასურსათო დახმარების აღმოსაჩენად შეგროვებულია 1.100.000 ფუთი სურსათი. ამჟამად რესპუბლიკაში ფართოდ გაჩაღდა სახსრების შეგროვება ტანკებისა და საბრძოლო თვითმფრინავების ასაგებად მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის, ქალაქის მშრომელებში, ახალგაზრდობაში.

უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი **იუსუპოვი**

ქ. ფაშკენტი, უზბეკეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. იუსუპოვს

უზბეკეთის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარეს ამხ. აბდურახმანოვს

გადაეცით ჩემი ძმური სალამი და წითელი არმიის მადლობა უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კოლმეურნეებსა და კოლმეურნე ქალებს, რომლებმაც, პირველი 260 მილიონის გარდა, დამატებით შეაგროვეს 40.169.000 მანეთი „უზბეკეთის კოლმეურნის“ სატანკო კოლონისა და თვითმფრინავთა ესკადრილიის ასაგებად, სახელმწიფო ვალდებულებათა შესრულების შემდეგ დამატებით ჩააბარეს 50 ათასი ფუთი სურსათი ქალაქების მშრომელთათვის.

ი. სტალინი

მე-13 არმია—ამხ. კუხოვს, კოზლოვს

გადაეცით ჩემი საბრძოლო სალამი და წითელი არმიის მადლობა მე-13 არმიის მებრძოლებს, მეთაურებსა და პოლიტმუშაკებს, რომლებმაც 6.167.745 მანეთი შეაგროვეს სატანკო კოლონებისა და თვითმფრინავთა ესკადრილიების ასაგებად.

ი. სტალინი

დროულად და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ ზრაქტორები

საქართველოს კოლმეურნე გლეხობა მთელი საბჭოთა კავშირის გლეხობასთან ერთად გამსჭვალულია ერთი მისწრაფებით — ყოველმხრივ დაეხმაროს გმირ წითელ არმიას გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა დიჩქარებით განადგურების საქმეში. ხალხთა საყვარელი ბელადისა და გენიალური მხედართმთავრის ამხანაგ **სტალინის** მისასალმებელმა დეპეშამ, წითელი არმიის წარმატებებითმა შეტევებმა კოლმეურნეებში ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. სოციალისტურ მინდვრებზე დაფოლავი შრომით კოლმეურნეები სჭედენ ვერაგ მტერზე გამარჯვებას და ამ შრომაში აქსოვებენ მთელ თავის სიყვარულს გმირი წითელი არმიისადმი.

1943 წელს ფრონტსა და ჩვენს ქვეყანას სულ უფროდაუფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები და ნედლეული უნდა მივცეთ მრეწველობისათვის. ამოცანა ახლა ის არის, რომ წელს უხვი სამხედრო მოსავალი მივიღოთ. მაღალი მოსავლისათვის ბრძოლა ნიშნავს—ამთავითვე ომიანობის შესაფერისი ტემპებით ვემზადოთ საგაზაფხულო თესვისათვის, მთელი ძალები დავძაბოთ საგაზაფხულო სამუშაოების ორგანიზებულად, მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. თესვის დროულად და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარება ბევრად არის დამოკიდებული სატრაქტორო პარკის სანიმუშოდ მომზადებაზე. საკოლმეურნეო სოფელი აღჭურვილია პირველხარისხოვანი სასოფლო - სამეურნეო იარაღ-მანქანებით. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, სამეწარმოქმედო ორგანოების, მტს-ების დირექტორებისა და მტს-ების პოლიტგანყოფილებათა უფროსების ვალია საუკეთესოდ ჩაატარონ ტრაქტორების საზამთრო რემონტი.

რემონტის ორგანიზებულად წარმართვისათვის საჭიროა გავთვალისწინოთ ომიანობით გამოწვეული სიძნელეები და მთელი ძალები დავრაზმოთ სათადარიგო ნაწილების ადგილზევე დასამზადებლად. ფართოდ უნდა გაიშალოს სათადარიგო ნაწილების რესტავრაციისა და დამზადების პრაქტიკა, მტს-ის ყველა მუშაკი უნდა განმსჭვალოს იმ გრძნობით, რომ საჭიროა მეტი მივცეთ სახელმწიფოს და ნაკლები მოვთხოვოთ მას.

იქ, სადაც თავიდანვე მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ შინარეზერვების გამოყენებას, სადაც არ არიან ცენტრის მოლოდინში, სერიოზულ ყურადღებას აქცევენ შრომის მოწესრიგებას, ძალთა სწორად განაწილებას სარემონტო სახელოსნოებში და მტს-ების მუშაკთა ყურადღება მობილიზებულია სათადარიგო ნაწილების აღდგენა-დამზადების ფართოდ გაშლისათვის — შედეგებიც კარგია. ტრაქტორების საზამთრო რემონტის 1942 წლის მეოთხე კვარტალის გეგმა საქართველოს მთელმა რიგმა მტს-ებმა გადაჭარბებით შეასრულეს, ახალსოფლის მტს-მა მეოთხე კვარტალში შეაკეთა 25 ტრაქტორი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 22-სა. გურჯაანის მტს-მა შეაკეთა 25 ტრაქტორი, გეგმა კი 20 ტრაქტორის შეკეთებას ითვალისწინებდა მეოთხე კვარტალში. ასევე ითქმის ხაშურის, რუისის, შინდისის, ადიგენის, მცხეთის, სამტრედიის, თელეთის, ცხაკაიას პირველი, სოხუმის მტს-ების შესახებ.

მაგრამ ზოგან ჯერ კიდევ სათანადოდ არ არის გაშლილი ბრძოლა შიდარესურსების მაქსიმალურად გამოსაყენებლად, არასაკმაოდ მუშაობენ სათადარიგო ნაწილების რესტავრაციისა და დამზადების დარგში. ამის შედეგად ტრაქტორების კაპიტალური და მიმდინარე რემონტის ტემპები დაბალია. ეს ითქმის ალაზნის, შირაქის, წითელწყაროს, წალკის, წითელქალაქის მტს-ებზე.

ყოველად შეუწყნარებელია ის გარემოება რომ სართიჭალის, ლუქსემბურგის და სადახლოს მტს-ებს გასული წლის მეოთხე კვარტალის ანგარიშში არცერთი ტრაქტორი არ გამოუშვიათ რემონტიდან. ამ მტს-ების დირექტორებისა და პოლიტგანყოფილებათა უფროსების ვალია გადამჭრელი ზომები მიიღონ რემონტის ტემპების გასაძლიერებლად. მთელი მუშაობა ისე უნდა წარიმართოს, რომ ტრაქტორების საზამთრო რემონტის წლიური გეგმა დროულად და მაღალხარისხოვნად შეასრულოს თითოეულმა მტს-მა. ასეთ მოთხოვნებს უყენებს ახლა სამშობლო, ფრონტი მტს-ების მუშაკებს და ეს პირნათლად უნდა იქნას შესრულებული. აგრეთვე საჭიროა, რომ ის მტს-ები, რომლებმაც შეასრულეს მეოთხე კვარტალის გეგმები, არ დაკმაყოფილდნენ მიღწევებით და წლიური გეგმები შეასრულონ დაწესებულ ვადაზე ადრე.

დიდი ამოცანების წინაშე დგანან ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები. მათ ყოველმხრივი დახმარება უნდა გაუწიონ მტს-ებს სათადარიგო ნაწილების დამზადების საქმეში. ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების მუშაკებმა ამ მხრივ უნდა გვიჩვენონ ოპერატიული მუშაობის ნიმუშები და თავიანთ შესაძლებლობათა ფართოდ გამოყენების უნარი.

ტემპების გადაჭრით გაძლიერებასთან ერთად საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ რემონტის ხარისხს. ხარისხის გარეშე არ არსებობს გეგმის შესრულება. საზამთრო რემონტი ისე უნდა ჩავატაროთ, რომ ტრაქტორმა საგაზაფხულო ხვნა-თესვაზე შეუფერხებლივ იმუშაოს. ხარისხისათვის ბრძოლა მტს-ებისა და სარემონტო სახელოსნოების მუშაკთა გადაუდებელი ამოცანაა.

ახლოვდება ისტორიული თარიღი—გმირი წითელი არმიის XXV წლისთავი. კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ სრულიად-საკავშირო სოციალისტური შეჯიბრება და ახალი წარმატებებით შევსვდეთ ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის XXV წლისთავს.

ტრაქტორების რემონტის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებით უზრუნველყოთ 1943 წელს საგაზაფხულო თესვის საუკეთესოდ ჩატარება და მით მტკიცე საძირკველი ჩავუყაროთ ბარაქიანი მოსავლის მიღებას. ეს იქნება მძლავრი დახმარება ფრონტისადმი.

ავსტრალიის დესპან ბ-ნ ვ. სლეიტერის მიღება

ამხ. ვ. მ. მოლოტოვის მიერ

1943 წლის 12 იანვარს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ამხ. ვ. მ. მოლოტოვმა მიიღო ავსტრალიის საგანგებო დესპანი და სრულუფლებიანი მინისტრი სსრ კავშირში ბ-ნი ვ. სლეიტერი.

საბჭოთა კავშირის გმირ მარინა რასკოვას სახელობის საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილიის ასაგებად

ქალ. ნ. 12 იანვარი (საკდესი). იმ საავიაციო ქარხნის კოლექტივმა, სადაც საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პარტორგია ამხ. ეუკოვი, შეიტყო რა საბჭოთა კავშირის გმირ მარინა მიხეილის-ასულ რასკოვას, საბრძოლო პოსტზე უდროოდ გარდაცვალების ამბავი, გადასწყვიტა ააგოს თავისი პირადი დანაზოგით და საკუთარი ძალებით მისი სახელობის საბრძოლო თვითმფრინავთა ესკადრილია. დღეს და გუშინ ქარხნის ყველა საამქროში ხალხმრავალი მიტინგები და კრებები გაიმართა.

12 საათის განმავლობაში ქარხანაში შეგროვებულ იქნა 500.000 მანეთი. სახსრების შემოტანა გრძელდება.

მ. მ. რასკოვას ხსოვნის აღსანიშნავი საგგლოვიარო მიტინგი წითელ მოედანზე

ამხ. ა. ს. შჩერბაკოვის სიტყვა

ამხანაგებო! ჩვენი ქვეყნის მშრომელებმა, წითელმა არმიამ და მისმა სამხედრო-საპაერო ძალებმა მძიმე დანაკლისი განიცადეს. საბრძოლო პოსტზე, სამსახურებრივ მოვალეობათა ასრულებისას, დაიღუპა საბჭოთა ხალხის, საყვარელი ქალიშვილი, მაიორი, ავიაპოლკის მეთაური, საბჭოთა კავშირის გმირი მარინა მიხეილის-ასული **რასკოვა.**

ჩვენს ქვეყანაში დიდით პატარამდე ყველა იცნობდა მარინა რასკოვას, სახელოვან მფრინავს, შორეულ გადაფრენათა გმირს. მისი გამბედაობით, მამაცობით, მისი დიდი საფრენოსნო ოსტატობით კანონიერად ამაყობდა ჩვენი ხალხი.

მარინა რასკოვა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ აღზრდილ თაობას ეკუთვნის. მან საბჭოთა ხელისუფლების არსებობის წლებში მიიღო განათლება და მთლიანად შესწირა თავი ავიაციას. მისი ცხოვრება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მისცა და რა შესანიშნავი შესაძლებლობა გადაუშალა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ ყველა საბჭოთა ქალს.

მარინა რასკოვა დაიბადა 1912 წელს ქალაქ ნოსკოვში, სიმღერის მასწავლებლის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 16 წლის ქალიშვილი, იგი ქარხანაში შევიდა. მაგრამ მას ავიაცია იზიდავდა, მას უნდოდა მფრინავი გამხდარიყო და მიაღწია კიდევაც თავის სანუკვარ ოცნებას.

მარინა რასკოვამ განსაკუთრებული შრომისუნარიანობის, ბეჯითობისა და ნიჭის მეოხებით 1934 წელს შტურმანის წოდება მიიღო, ხოლო 1935 წელს საფრენოსნო სკოლა დაამთავრა. მთელი საბჭოთა ხალხისათვის დაუვიწყარ გადაფრენებში, მოსკოვ-სევასტოპოლ-მოსკოვის, მოსკოვ-აქტიუბინსკის, სევასტოპოლ-არხანგელსკის, მოსკოვ-შორეულ აღმოსავლეთის შესანიშნავ შორეულ გადაფრენებში გაიშალა მისი როგორც შტურმანისა და მფრინავის, თვალსაჩინო ნიჭი. მთავრობამ მაღალი შეფასება მისცა მარინა რასკოვას საგმირო საქმეებს, ორჯერ დაჯილდოდა იგი ლენინის ორდენით და მიანიჭა მას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მარინა რასკოვამ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ჩვენს ავიაციას. იგი დაუღალავად, დღითი დღე აუმჯობესებდა თავის ცოდნას, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლობდა და მთელ თავის ძალ-ღონეს, გამოცდილებასა და ცოდნას ახმარდა ჩვენი სამხედრო-საპაერო ძალების განმტკიცებას.

მარინა რასკოვა ხალხის ერთგული შვილი, საბჭოთა ქვეყნის პატრიოტი იყო. მისი ცხოვრების ყოველი ნაბიჯი, ყოველი მისი მისწრაფება და ფიქრი მიმართული იყო იქითკენ, რომ განმტკიცებინა სოციალისტური სამშობლოს თავდაცვა. როგორც მფრინავმა, მან იცოდა, თუ რა ძლიერი იარაღია მტრებთან ბრძოლაში ავიაცია, და ამიტომ თავდადებით შრომობდა, რომ გაეუმჯობესებინა ეს მრისხანე იარაღი.

ხანმოკლე, მაგრამ სახელოვანი ცხოვრება ცხოვრა მარინა რასკოვამ. იგი იყო უბრალო, თავდაბალი საბჭოთა ადამიანი, ხალხისათვის ახლობელი და საყვარელი, გმირი რომელმაც განასახიერა ჩვენი დიდი ხალხის საუკეთესო თვისებები—მისი უშიშრობა, რევოლუციური ენერგია, მისი გამბედაობა და მამაცობა.

და როცა ჩვენი ქვეყნის უბოროტესი მტრები—გერმანელი ფაშისტები—უნამუსოდ და ვერაგულად დაესხნენ თავს ჩვენს სამშობლოს, მარინა რასკოვამ, თავისი ადგილი დაიკავა საბჭოების ქვეყნის დამცველ მებრძოლთა რიგებში, თავისი ადგილი დაიკავა მოქმედი არმიის სამხედრო-საპაერო ძალების მებრძოლთა რიგებში.

სიკვდილმა შესწყვიტა მისი მშვენიერი სიცოცხლე. სტალინური შევარდენთა ოჯახმა და წითელმა არმიამ დაკარგა ნებისყოფიანი მეთაური, მშვენიერი მფრინავი.

საბჭოთა ხალხმა დაკარგა თავისი საყვარელი ქალიშვილი, გამბედავი, მამაცი, ურყევი ნებისყოფის ადამიანი.

ბოლშევიკურმა პარტიამ დაკარგა თავისი ერთგული წევრი, პარტიისადმი, საბჭოთა მთავრობისადმი, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის—ამხანაგ სტალინისადმი უსაზღვროდ თავდადებული ადამიანი.

ჩვენმა ქვეყანამ აღიარდა მრავალი გამოჩენილი მფრინავი, რომელნიც თავდადებით იბრძვიან გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი სამამულო ომის ფრონტებზე. სტალინური ზრუნვით, მთელი საბჭოთა ხალხის ყურადღებითა და მხარდაჭერით გამთბარი ჩვენი სამშობლოს შევარდნები მუდამ საბრძოლო პოსტზე არიან. ჰიტლერელ მხეცებთან სასტიკ ბრძოლებში ჩვენი მფრინავები იცავენ საბჭოთა სამშობლოს ციცხლებს, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. მარინა რასკოვა, პატიოსანი და ლამაზი ცხოვრება, მისი გმირობა, მისი ნათელი სახე ახალ-ახალი გამარჯვებისათვის აღაფრთოვანებს მფრინავებს. ეს ნათელი ენერგია, ეს ენერგიული ბრძოლა, ეს ენერგიული ბრძოლა, ეს ენერგიული ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ჯარების წარმატებანი ჩრდილოეთ კავკასიაში

(„კრასნაია ზვეზდის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

წითელი არმიის ნაწილებმა ახალი დიდი გამარჯვება მოიპოვეს ჩრდილოეთ კავკასიაში წარმოებული შეტევის დროს. შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ მათ დაიკავეს ქალაქები გეორგიევსკი, მინერალნიე ვოდი, პიატიგორსკი, ეკატერინოვოდსკი, კისლოვოდსკი, ბუდიონოვსკი. გერმანელ ფაშისტთა ჯარებმა აქ უდიდესი ზარალი ნახეს. ჩვენი ნაწილების მიერ დაკავებული ქალაქებისა და რკინიგზის სადგურების ქუჩები სავსეა მტრის გვამებით. მოწინააღმდეგემ დიდძალი იარაღი, საომარი მასალა და ავტოტრანსპორტი მიატოვა. მთელ რიგ უბნებზე ჩვენმა ნაწილებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით იგდეს ხელთ მძიმე ქვემეხები.

გეორგიევსკის, მინერალნიე ვოდის, პიატიგორსკის, კისლოვოდსკის რაიონი, სადაც ბევრი გზა არის, ჩრდილოეთ კავკასიაში გერმანელთა თავდაცვის სისტემაში წინააღმდეგობის მთელ რიგ დიდ კვანძებს წარმოადგენდა. გერმანელებმა თავდაცვისათვის ფართოდ გამოიყენეს მკვეთრად დასერილი ადგილის პირობები, აგრეთვე წყლის ზღუდეები. ყოველივე ეს წითელი არმიის შემტევ ნაწილებს უდიდეს სიძნელეს უქმნიდა. ჩვენი ჯარები, რომელნიც განუწყვეტელ ბრძოლებში მტრის წინააღმდეგობას სძლევდნენ, იძულებული იყვნენ გაეფთრებული ბრძოლა ეწარმოებინათ და ბრძოლით აეღოთ თითოეული დასახლებული პუნქტი, თითოეული მაღლობი, რკინიგზისა და გზატეხილის უბნები, წყლის ზღუდეები.

განსაკუთრებით შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა რკინიგზების გასწვრივ გეორგიევსკისა და მინერალნიე ვოდის მიმართულებით. მოწინააღმდეგე ცდილობდა შეეჩერებინა ჩვენი ნაწილების წინსვლა და ებლაუქბოდა ყოველ დასახლებულ პუნქტს და ყოველ სადგურს. იგი ყველგან ცდილობდა თავდაცვა შეექმნა. ასეთ პირობებში მარტო ჯიქურ დარტყმებს საეჭვოა რომ წარმატება ჰქონოდა, და ჩვენი ნაწილები გაბედულად შემოუვლიდნენ ხოლმე წინააღმდეგობის დიდ კვანძებს, აღსავს არტყამდნენ მათ და იერიშით მიჰქონდათ სხვადასხვა მიმართულებით.

რამდენიმე საათს გაგრძელდა ბრძოლა რკინიგზის სადგურ ეტოკისთვის. შემტევთა მიერ მიტანილ პირველ იერიშებს მხოლოდ ნაწილობრივი წარმატება ჰქონდათ. მაშინ ერთმა ჩვენმა ნაწილმა გარს შემოუარა სადგურს და მოსინჯა მტრის თავდაცვის ყველაზე უფრო სუსტი ადგილი. შემტევებმა დაარტყეს ამ სუსტ რგოლს და შესძლეს გაერეკათ მოწინააღმდეგე მის მიერ დაკავებული პოზიციებიდან და დაეკავებინათ სადგური.

გერმანელებმა დაიხიეს ქალაქ გეორგიევსკისაკენ და რამდენიმე კონტრიერიში მოიტანეს. ჩვენმა ნაწილებმა მოიგერიეს მტრის კონტრიერიშები. ამ დროს სხვა ჩვენმა შენაერთმა სწრაფად დაარტყა ქალაქ სოლდატსკო-ალექსანდროვსკოეს მიმართულებით. ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შედეგად ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს ეს ქალაქი, გადალახეს მდინარე კუმა რამდენიმე ალაგას, დაიკავეს რკინიგზის სადგური კუმა და წარმატებით განაგრძობდნენ შეტევას.

ახლა გეორგიევსკზე იერიშები მიჰქონდათ ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით. მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მოსდიოდა. როცა იგი საკმაოდ მოქანცულ იქნა და დაეძლურებული აღმოჩნდა, ჩვენმა ნაწილებმა გააძლიერეს თავიანთი შეტევა. გერმანელებმა ახალ იერიშებს ვერ გაუძლეს და უკან დაიხიეს. ჩვენი ნაწილები ფეხდაფეხ მიჰყვნენ უკანდახეულ გერმანელებს. ქალაქში შეიჭრნენ და დაიკავეს იგი.

თუ რამდენად უეცარი იყო საბჭოთა ჯარების დარტყმა გეორგიევსკისათვის წარმოებულ ბრძოლებში, ამას შემდეგი ფაქტი გვიჩვენებს. ერთ დასახლებულ პუნქტში ჩვენმა სატანკო ქვედანაყოფმა მოუმზადებელს მიუსწრო გერმანელთა პოლკის შტაბს. ამასთან გერმანელი ოფიცრები ლოგინში აღმოჩნდნენ. მათი ნაწილი მოსპობილ იქნა, ნაწილი კი წამოყვანილია ტყვედ.

ამასობაში ნ შენაერთის ტანკისტები, რომლებმაც გარს შემოუარეს გეორგიევსკს, მინერალნიე ვოდისაკენ წავიდნენ და ამ ქალაქში შეიჭრნენ. მოქმედების სისწრაფემ აქაც უზრუნველჰყო წარმატება ორივე შემთხვევაში. მტერი შეუპოვრად იცავდა თავს, მაგრამ ვერაფერს გახდა. დიდი როლი შეასრულა იმ გარემოებამაც, რომ ჩვენმა სარდლობამ მოახერხა და გაჩაღებული ბრძოლის ადგილზე ტანკებს სწრაფად მიაყოლა მოტოქვეითი ჯარი და არტილერია.

მტერი დამარცხდა, მაგრამ რევანშის იმედი არ დაუკარგავს. მან ხელახლა სცადა კონტრიერიში მოეტანა ჩვენი ჯარების წინააღმდეგ და ძლიერი მექანიზებული კოლონა გამოიყვანა მინერალნიე ვოდისაკენ. ჩვენი ტანკები მარშით მიმავალი შეხვდნენ ამ კოლონას და სამი საათის ბრძოლაში გაანადგურეს იგი.

სანამ მიმდინარეობდა ბრძოლები მინერალნიე ვოდისა და გეორგიევსკისათვის, საბჭოთა ტანკებმა, ქვეითი ჯარისა და ცხენოსანი ჯარის მოძრავმა ჯგუფებმა გადასჭრეს მტრის ყველა კომუნიკაცია. მრავალი დასახლებული პუნქტის გერმანელთა გარნიზონები ერთმანეთს მოწყვეტილი აღმოჩნდნენ. ნ შენაერთი განაგრძობდა მტრის შევიწროებას პიატიგორსკის მიმართულებით. აქ გერმანელებს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი ჰქონდათ. ისინი გამაგრდნენ მაღლობებზე, რომლებიც სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ პიატიგორსკის მისადგომებზე. საბჭოთა ჯარების თითოეული იერიში დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რასაც ორკეცებდა ცუდი ამინდი და უგზოობა. მაგრამ, ყველაფრის მიუხედავად, ნ შენაერთის ნაწილები წარმატებთ მიიწევდნენ წინ და ზედიზედ აგიმებდნენ მტერს დარტყმას.

მალე ჩვენმა ჯარებმა პიატიგორსკთან მიახლოება მოახერხეს. ბრძოლამ კიდევ უფრო გაფთრებული ხასიათი მიიღო. საბჭოთა მეომრებმა გადაშენყვეტი იერიშებით ხელთ იგდეს ნახევარი ქალაქი. მტერი კვლავ წინააღმდეგობას გვიწევდა პიატიგორსკის ‘ ქუჩებში, მაგრამ ეს წინააღმდეგობა თანდათან სუსტდებოდა ჩვენი ქვედანაყოფების შეუნელებელი მიძალების გამო და, ბოლოს, გერმანელები, რომელთაც უდიდესი ზარალი ნახეს, განდევნილ იქნენ ქალაქიდან. პიატიგორსკი მთლიანად გაწმენდილ იქნა ფაშისტებისაგან, ამასთან ჩვენმა მებრძოლებმა შესძლეს დანგრევისაგან გადაერჩინათ ქალაქის შენობები და კულტურული და სამეურნეო დაწესებულებანი.

კისლოვოდსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები იმდენად ენერგიულად და უეცრად უტევდნენ, რომ მოულოდნელად მოადგნენ მტერს და მალე გასწმენდეს მისგან ქალაქი. ამ ბრძოლებში ჩვენი ნაწილების წარმატებას ხელს უწყობდა ყველა გვარეობის ჯარების საუცხო თანამოქმედება. ტანკების დარტყმას ქვეითი ჯარი ეხმარებოდა და ანვითარებდა, ხოლო ზოგიერთ უბანზე ტანკები ქვეითი ჯარის მიერ მიღწეულ წარმატებას ანვითარებდნენ. არტილერია ქვეითი ჯარის, ტანკებისა და ცხენოსანი ჯარის საბრძოლო რიგებში მიდიოდა. არახელსაყრელი ამინდის მიუხედავად, ცალკეულ დღეებში აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა ავიაცია.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კაზაკების მამაცური და მარჯვე საბრძოლო მოქმედება გენერალ-ლეიტენანტ კირიჩენკოს მეთაურობით. კაზაკები ყუბანის მშობლიურ მიწა-წყლისაკენ ისწრაფვიან და დაუღალავად ანადგურებენ მტერს.

მაიორი პ. ტროიანოვსკი

(„პრავდა“, 1943 წ. 12 იანვარი).

მალგობეკში

მალგობეკი, 9 იანვარი (საკდესი). მამაცმა წითელმა არმიამ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლებისაგან გათავისუფლა მალგობეკი. ნათის ქალაქში, რომელიც შექმნილია გროზნის ნავთის მრეწველობის, მუშაკთა ხელით სერგო ორჯონიკიძის ინიციატივით, კვლავ ფრიალებს საბჭოთა წითელი დროშა.

სამ თვეს თარეშობდნენ მალგობეკში ჰიტლერელი არამზადები. ისინი ცდილობდნენ მიეღოთ საწვავი ტანკებისა და თვითმფრინავებისათვის. მაგრამ გერმანელთა სარდლობა აქაც მოტყუდა ანგარიშში. მიუხედავად იმისა, რომ ოკუპანტებმა ქალაქში 90 დღეს დაჰყვეს, მათ ვერ მოახერხეს ნავთის ვერც ერთი ჭაბურღილის ამუშავება და თუნდაც ერთი წვეთი ნავთის მიღება.

ახალგაზრდა აყვავებული ქალაქი ფაშისტმა ჯაჩაღებმა ნანგრევებად გადააქციეს. ყველგან, სადაც კი საზიზღარი მტერი იყო, ნგრევისა და გავერანების საშინელი სურათია. წითელი არმიის შეტევის შედეგად ტკანდახეულის ფაშისტებმა ცეცხლი წაუკიდეს ტრესტ „მალგობეკნეფტის“ სამმართველოს საუცხო შენობას. კულტურის სასახლე, სასტუმროები, სკოლები და სხვა შენობები ნანგრევებად არის გადაქცეული.

მცირერიცხოვანი მცხოვრებნი, რომელნიც აქ იმყოფებოდნენ გერმანელთა ოკუპაციის დროს, მოგვითხრობენ იმ ძალადობის, ძარცვისა და ბუჩაღ ოგდების უმაგალითო აქტებზე, რასაც ისინი განიცდიდნენ გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრების მხრივ. გაოტაკებული, მშიერი მცხოვრებნი მიწურებსა და სარდაფებში იმალებოდნენ.

სიხარულის ცრემლებით შეხვდა მალგობეკის მოსახლეობა თავის განმათავისუფლებლებს—საბჭოთა მეომრებს. ქალაქში დაბრუნდნენ ქალაქის საბჭოს, პარტიის საქალაქო კომიტეტის, ტრესტ „მალგობეკნეფტის“ ხელმძღვანელები. დაიწყო აღდგენითი სამუშაოები.

ავაგოთ საჯანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნე“

4.250.000 მანეთი

მახარაძე („კომუნისტის“ საქ. კორ.). ამბანაგ ტალინის მისასალმებელი დეპეშის პასუხად იზრდება სატანკო კოლონა „ქართველი კოლმეურნის“ აგების ფონდში სახსრების შეტანა. სოფელ კონკჯათის კოლმეურნეობა „ახალი ცხოვრების“ თავმჯდომარემ ჰ. კოსტავამ პირადი დანაზოგიდან 10.000 მანეთი შეიტანა, სოფ. მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის ბუხალტერმა ი. ვასაძემ — 10.000 მანეთი, მახარაძის მტს-ის ტრაქტორისტმა ს. გოგოლაძემ—4.000 მანეთი, სატრაქტორო ბრიგადების ბრიგადირებმა ს. ჩხაიძემ და გ. ინდღულაძემ—სამ-სამი ათასი მანეთი.

11 იანვრისათვის რაიონის კოლმეურნეებმა მიერ სახელმწიფო ბანკის ადგილობრივ განყოფილებაში შეტანილი იყო 4.250.000 მანეთი.

სოფ. განახლების ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა ორი ტონა სიმინდი, 500 კილოგრამი ხორცი, 300 კილოგრამი ლობიო და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები შეიტანეს წითელი არმიისათვის და ქალაქის მშრომელთათვის. სოფ. მერიის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა შეიტანეს 1.416 კილოგრამი ხორცი, 2 ტონა სიმინდი. ამ კოლმეურნეობის წევრებმა ი. გოგატაძემ, შ. ვასაძემ, მ. ბაჯელიძემ კი—თითო ფუთი ხორცი და ორ-ორი ფუთი სიმინდი.

ლ. ლოლაძე

თათბირი ციტრუსოვანთა ნარგავების გამოზამთრების საკითხზე

სოხუმი („კომუნისტის“ საქ. კორ.). 10 იანვარს სოხუმში ჩატარდა საოლქო თათბირი ციტრუსოვანთა ნარგავების გამოზამთრების საკითხებზე. თათბირს ესწრებოდნენ საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, კოლმეურნეობების თავმჯდომარეები, სპეციალისტები.

მოხსენება ციტრუსების გამოზამთრებაზე გააკეთა აფხაზეთის სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. თოდუამ.

მოხსენება გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს კოლმეურნეობების თავმჯდომარეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და სპეციალისტებმა, რომლებმაც აღნიშნეს მთელი რიგი ნაკლოვანებანი ციტრუსების გამოზამთრების საქმეში. ჰამორჩენაა შეესაფუთავი მასალისა და სარების დამზადებაში. გაგრის რაიონის კუიბიშევის სახელობის, ოჩამჩირის რაიონის ტყვარჩელის ბერიას სახელობის კოლმეურნეობებში, გუდაუთის რაიონის კოლმეურნეობა „სოვეტსკაია აფხაზიაში“ დღემდე არ დაუმთავრებიათ გამოზამთრებისათვის საჭირო მოსამზადებელი მუშაობა. ოჩამჩირისა და გუდაუთის რაიონების მთელ რიგ კოლმეურნეობებში უხარისხოდ ჩაატარეს ციტრუსოვანთა ხეებისათვის მიწის შემოყრა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. შ. ბერიძე, რომელმაც თათბირის მონაწილეთა ყურადღება გაამახვილა ციტრუსების გამოზამთრების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა სასწრაფოდ გამოსწორებაზე.

თათბირმა დასახა კონკრეტული ღონისძიებანი ციტრუსების საუკეთესოდ გამოზამთრებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. გ. ალავიძემ.

გ. მერკვილაძე

მეცნიერ-მუშაკთა ანტიფაშისტური კონფერენცია

ქუთაისი („კომუნისტის“ კორ.). ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩატარდა მეცნიერ-მუშაკთა ანტიფაშისტური კონფერენცია.

კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები პროფ. ა. ბოჭორიშვილისა — „პიროვნების პრობლემა დღეს“, დოც. ნ. ქუთათელაძისა — „ფაშიზმი კულტურის უბოროტესი მტერია“, დოც. გ. სამხარაძისა — „პატრიოტიზმი და გმირობა ძველ ქართულ ხალხურ პოეზიაში“, დოც. ივ. ბოზხეთელიანისა — „ფაშიზმის რასიული „თეორია“ და ადამიანთა რასების ბიოლოგიური არსი“, ფატი გოკიელისა — „მსოფლიო ანტიფაშისტი მწერალი ქალები“, ნინო კუბლაშვილისა — „საბჭოთა ქალი სამამულო ომის პერიოდში“.

ინსტიტუტში შექმნილია მეცნიერ-მუშაკთა ლექტორიუმი, რომელიც ატარებს ლექციებსა-მოხსენებებს ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ გმირი საბჭოთა ხალხის ბრძოლის საკითხებზე.

კურსდამთავრებულთა გაფრენა

ქ. სამტრედიის რკინიგზის № 4 საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში (დირექტორი ამხ. ბ. ლომიძე) მოხდა კურსდამთავრებულთა გაფრენა. სკოლამ ჩვენს მრეწველობას მისცა 293 ახალგიზრდა მუშა. სკოლა ფრიადზე დაამთავრა 60 ახალგაზრდამ, ხოლო კარგზე—120

სასწავლო-აღმზრდელობითი საქმეში თავი

სახელის ოსტატებმა გ. ფორჩხიძემ, ბ. დიდიამ, დ. ჯაჯარშეიშვილმა, ი. ბოხუამ, ტ. ქორჩილავამ და ა. სტურუამ, რისთვისაც ისინი სკოლის დირექციამ დააჯილდოვა. № 4 საფაბრიკო-საქარხნო სკოლა ამჟამად გაცხოველებით ემზადება მომავალი ნაკადის შესახვედრად.

ბ. სტურუა

პარტიული ცხოვრება

საქ. კ. პ. (ბ) საგარეჯოს რაიონული კონფერენცია

საგარეჯო, 12 იანვარი. 10-11 იანვარს მიმდინარეობდა საგარეჯოს რაიონული პარტიული კონფერენცია, რომელმაც განიხილა რაიკომის მდივნის მოვალეობის შემსრულებლის ამხ. ბ. ყურაშვილის, საანგარიშო მოხსენება რაიკომის მუშაობის შესახებ. მოხსენების ირგვლივ გამართულ კამათში 20 ამხანაგმა მიიღო მონაწილეობა. მათ შორის: კაზაროვმა, ქემოკლიძემ, აბესაძემ, ნახუცრიშვილმა, დოლენჯაშვილმა, სინჯაიშვილმა, ზაქარეიშვილმა, მაღლაფერიძემ, ნიკოლაიშვილმა და სხვ.

კონფერენციამ მოხსენების ირგვლივ სათანადო დადგენილება მიიღო.

კონფერენციამ აირჩია რაიკომის შემადგენლობაში 29 წევრი და 9 კანდიდატი.

11 იანვარს შესდგა რაიკომის პირველი პლენუმი. პლენუმმა რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ბ. ყურაშვილი, მეორე მდივნად ამხ. ა. ხუციშვილი და მესამე მდივნად ამხ. ა. მარსაგიშვილი. რაიკომის ბიურო არჩეულ იქნა 5 წევრისა და 2 კანდიდატის შემადგენლობით.

კონფერენციისა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. თოფურიძე. (საქდესი).

თათბირი აგიტაციისა და პროპაგანდის საკითხებზე

ფოთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში პარტიული განათლების სახლის სალექციო დარბაზში ჩატარდა პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების, აგიტატორებისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსზე“ დამოუკიდებლად შემსწავლელი ამხანაგების თათბირი. მოხსენებით — საგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების შესახებ გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. ო. გაგუა.

თათბირზე გამოირკვა, რომ ნავსადგურის, ქალაქის საბჭოს, სატყეო მეურნეობის, საქოვეგის ფოთის განყოფილების პირველადმა პარტორგანიზაციებმა უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად შეასუსტეს ხელმძღვანელობა ბოლშევიკური პარტიის ისტორიის შესწავლისადმი. ისინი არასაკმაოდ ეხმარებიან და ხელმძღვანელობენ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებს. არა აქვთ აღრიცხვა, თუ „მოკლე კურსს“ რამდენი სწავლობს დამოუკიდებლად, არ აწყობენ კითხვა-პასუხის, საღამოებს, საუბრებს თეორიულ საკითხებზე. აღნიშნული პარტორგანიზაციები იშვიათად იხილავენ საკითხებს პროპაგანდისტული მუშაობის დაყენების შესახებ. პარტიული და სამეურნეო დარგის ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკები, იმიზეზებენ რა დროის უქონლობას, სათანადოდ არ მუშაობენ საკუთარი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის.

თათბირმა საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დარგში არსებული დეფექტების აღმოფხვრისა და „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლის გაუმჯობესებისათვის დასახა ღონისძიებანი.

ვ. გუჯაბიძე

წითელი არმიის XXV წლისთავის აღსანიშნავად

ყოველდღიურად ვაძლიეროთ შემტევი ნითელი არმიისადმი დახმარება

სახელოვან თარიღს ღირსეულად შევხვდებით

ამ დღეებში ჩვენ მოვიწვიეთ საამქროს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზეც შევაჯამეთ განვლილი წლის მუშაობა და დავსახეთ მიმდინარე საწარმოო წლის ამოცანები. გარდა ამისა, განვიხილეთ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ახალი მუშების მომზადების საკითხები.

გასული წლის საწარმოო გეგმა ჩვენმა საამქრომ ვადაზე ადრე და დიდი გადაჭარბებით შეასრულა. იანვრის პირველი დღეებიდან-ვე ახალი ძალით გავაჩაღეთ მუშაობა.

უკანასკნელ ხანებში, საამქროში მნიშვნელოვნად განმტკიცდა შრომის დისციპლინა. იყო სამუშაოზე დაგვიანების და გაცდენის შემთხვევებმა. დიდ ყურადღებას ვაქცევთ ახალი მუშების საწარმოო მომზადებას. ამ მხრივ თავი ისახელეს კვალიფიციურმა ოსტატებმა შ. ზაალიშვილმა, ი. გრიშკომ, შ. ჩიმაკაძემ, ს. ცომაიამ და სხვ. მოკლე ხნის განმავლობაში მათ 18 ახალი მუშა მოამზადეს.

დიდი სტალინის, საოქტომბრო მოხსენების პასუხად ჩვენ მნიშვნელოვნად გავზარდეთ პროდუქციის ხარისხი და საგრძნობლად შეეგმაცირეთ წუნი. რომელიც ამჟამად 0,02 პროცენტს უდრის. მთელ ძალ-ღონეს ვხმარობთ წუნის სავსებით მოსასპობად.

ჩვენ დიდი ინტერესით განვიხილეთ მოლოტოვის სახელობის № 172 საარტილერიო ქარხნის კოლექტივის მოწოდება და მის პასუხად წითელი არმიის, XXV წლისთავისათვის ვიკისრეთ შემდეგი ვალდებულებები: სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლით იანვრის გეგმა შეასრულოთ 110 პროცენტით, თებერვლის გეგმა კი 25 თებერვლისათვის, გავზარდოთ პროდუქციის ხარისხი, მოვსპოთ წუნი, გავსწოროთ სათბობისა და ელექტროენერგიის ეკონომია.

ჩვენმა საამქრომ წითელი არმიის XXV წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია № 27 საამქროს კოლექტივი.

ვკისრულობთ პირნათლად შევასრულოთ აღებული ვალდებულებები და მეტი და მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით მზარდი დახმარება გავუწიოთ შემტევ წითელ არმიას ფაშისტი ოკუპანტების სრულ განადგურებაში.

ი. მრშოლვი — სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის № 24 საამქროს უფროსი.
ი. ჭუმგურიძე, ა. მარგველაშვილი —საამქროს სტახანოველები

შვეციის პოლიცია დაუსჯელად სტოვებს ფაშისტებს

სტოკჰოლმი, 12 იანვარი (საკდესი). როგორც წინათ უკვე ვიუწყებოდით, სტოკჰოლმში არსებულმა საბჭოთა მისიამ შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი განუცხადა, შვეციის პოლიციის მიერ საკდესის სტოკჰოლმის განყოფილების გამგე ლისინის მიმართ ჩადენილი ხულიგნური საქმიანობის გამოძიებაზე. ლისინი ბოლოს ამბობდა, რომ შვეციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ სინანული გამოუცხადა საბჭოთა მისიის პოლიციის მოქმედებისა და იმ საქციელის გამო, რაც ამ მოქმედებასთან დაკავშირებით ჩაიდინა გაზეთმა „დაგბლადეტენმა“, რომელსაც ლიტერელები სცემენ შვეციაში.

პოლიციელთა მიერ ლისინის მიმართ ჩადენილი უწესოების გამოკვლევაში შვეციის ხელისუფალთა აუჩქარებლობა და საქმის ისეთი მდგომარეობა, რომ ხულიგნური ექსცესის ჩამდენნი აქამდე დაუსჯელი არიან, განცვიფრებას იწვევს შვეციის საზოგადოების სხვადასხვა წრეებში და ბევრი უცხოელი ჟურნალისტის მხრივ, განსაკუთრებით იმ უცილობელი ფაქტის გამო, რომ შვეციის ჰოლიციაში გაბატონებული არიან პროფაშისტური ელემენტები და შვეციის პოლიციის პრაქტიკაში გამეფებულია ჰიტლერული გესტაპოს მეთოდები.

საფრანგეთის არმიის შედგენა ჩრდილოეთ აფრიკაში

ლონდონი, 12 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო ვაშინგტონიდან გადმოგვცემს, გენერალი ჟირო საფრანგეთის არმიას ადგენს აფრიკაში. არმიის შემადგენლობაში შევა ჯაზშასტანკო, მოტორიზებული და საავიაციო ნაწილები, რომელნიც აღჭურვილი იქნებიან ამერიკული იარაღით. ამ არმიის ძირითად კადრს ჩრდილოეთ აფრიკისა და სენეგალიის მცხოვრებნი შეადგენენ. სარდლობის შემადგენლობაში იქნებიან კადრის ფრანგი ოფიცრები. მოეგებულია ზომები, რომ მოეწყოს რეკრუტთა შეგროვება და საჭირო საჭურვლისა და სამხედრო მასალების მიწოდება.

შინაგანი ვითარების გამწვავება რუმინეთში

ანკარა, 12 იანვარი (საკდესი). რუმინეთში შინაგანი ვითარება სულ უფრო და უფრო მწვავდება. გამოქვეყნდა მთავრობის განკარგულება, რომლითაც მძიმე სასჯელის შიშით, თვით სიკვდილით დასჯამდე, იკრძალულია ყოველგვარი ლაპარაკი ან დისკუსია პოლიტიკურ თემებზე, განსაკუთრებით ფრონტის მდგომარეობაზე. განკარგულებაში აღნიშნულია აგრეთვე, რომ რუმინეთის შინაგან სიძნელეთა საკითხების ყოველგვარი განხილვა მიჩნეულ იქნება როგორც ომიანობის დროის კანონთა დარღვევა.

ბუქარესტში, კრაიოვაში, პლოეშტსა და რუმინეთის მრავალ სხვა ქალაქში გრძელდება იმ პირთა მასობრივი დაპატიმრება, რომელთაც ანტონესკუს ლეგიონადმი ოპოზიციურ დამოკიდებულებას ან ომის საწინააღმდეგო განწყობილებას სწამებენ. იმასთან დაკავშირებით, რომ რუმინეთის საპყრობილეები გაჭედილია, ანტონესკუს ბრძანებით შექმნილია რამდენიმე ახალი საკონცენტრაციო ბანაკი, რომლებიც გესტაპოს აგენტების სპეციალურ მეთვალყურეობაშია. ამ ბანაკებში მხეცური რეჟიმია დამყარებული.

მედესანგეთა მომზადება ამერიკის შეერთებულ შტატებში

იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი აუწერს მეცადინეობას ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ სამხედრო ბანაკში, რომელიც ქვეითი ჯარის ნაწილებს სადესანტო ოპერაციებისათვის ამზადებს.

ჯარისკაცები ვარჯიშობენ შიშველი ხიშტებით, როგორც ნამდვილ ბრძოლაში. მათ ასწავლიან ხელჩართულ ბრძოლის ყველა ხერხს. ბანაკში ჩატარდა 600-იარდიანი ლაშქრობა, რომლის მონაწილეებს მოუხდათ გადაელახათ სხვადასხვა დაბრკოლებანი: ხაფანგები, ყინულჭიანი ენები, ელდლები. ჯარები გზას ულობავდნენ ტანკებს და წარმატებით გვიჩვენებდნენ სნაიპერულ ოსტატობას, ჩასანგრებას, შეინიღბვას, სანგრების მოწყობას. ა. შ. შტატების ყველა ქვეითს დიციზიაში ტარდება ასეთივე ლაშქრობანი. (საკდესი).

ჰიტლერელები შეშფოთებული არიან საბერძნეთში პარტიზანული მოძრაობის გაძლიერებით

ნიუ-იორკი, 9 იანვარი (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ანკარელი კორესპონდენტი იუწყება, საბერძნეთიდან მიღებული ცნობებით, ამას წინათ ათენში შესდგა გერმანიისა და იტალიის საოკუპაციო ჯარების წარმომადგენელთა თათბირი. გერმანელები იტალიელებს ემუქრებოდნენ, სულ ჩამოგაშორებთ საბერძნეთის მმართველობას, თუ უფრო წარმატებით ბრძოლას არ აწარმოებთ ბერძენ პარტიზანთა წინააღმდეგ. არსებული ცნობებით, ამის პასუხად იტალიელებმა გერმანელებს მოაგონეს, რომ ჩაიფუშა გერმანელთა ცდა იუგოსლავიაში პარტიზანთა მოძრაობის ჩახშობისა.

ინგლისმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჩინეთში ექსტერიტორიულობის უფლებათა გაუქმების შესახებ

ლონდონი, 11 იანვარი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ჩუნცინში ინგლისმა და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ჩინეთში ინგლისის ექსტერიტორიულობის უფლებათა გაუქმების შესახებ.

ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ პირველი ექვსი თვის განმავლობაში საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ დაწყებულ უნდა იქნას მოლაპარაკება მეგობრობის, ვაჭრობის, ნაოსნობისა და საკონსულო უფლებათა შესახებ ხელშეკრულების დადებაზე.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ჩუნცინში, ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სუნ-ძი-ვენმა და დიდი ბრიტანეთის ელჩმა სიმონურმა.

უცხოეთის ქრონიკა

ინდოეთის დაახლოებით 550 გაზეთი, რომლებიც ინგლისურ და ინდურ ენებზე გამოდის, ინდოეთის მთავრობის მიერ ზოგიერთი ცნობის პუბლიკაციის აკრძალვის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, 6 იანვარს არ გამოსულა.

* * *

სურსათის მარაგი საბერძნეთის კუნძულებზე—მიტილენისა, ხიოსსა, ნიკარიასა და სამოსზე, რომლებიც ღერძის სახელმწიფოთა მიერ არის ოკუპირებული. თითქმის გამოილია. მოსახლეობას შიმშილით სიკვდილი ემუქრება. (საკდესი).

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

აკაკი ბელიაშვილის „პაჭარა ნოველები“

თბილისი. „ფედერაცია“ 1942 წ. 33-42.

კრებულში მოთავსებული ნოველები საბჭოთა ხალხის სამამულო ომის ხანაშია დაწერილი და ამ დიადი ბრძოლის ვითარებას ეხმიანება. ისინი ჩვენი ძლევამოსილი ხალხის საბრძოლო პატრიოტული აღფრთოვანების ამსახველ და ჰიტლერელ დამპყრობელთა ბარბაროსობის მამხილებელ სურათებს შეიცავენ.

წიგნში მოთავსებული რამდენიმე ნაწარმოები ნიჭიერი ნოველისტის დამახასიათებელი ღირსებით არის აღბეჭდილი. მათ ცხადი და აქტუალური მიზანდასახულობა გააჩნიათ. ამბავი წრფელად, სადად და დამაჯერებლად არის მოთხრობილი. მათი ავტორი დაკვირვებული, ფხიზელი თვალით ხედავს და ძალდაუტანებელი ბუნებრივობით აგვიწერს მოვლენებსა და საგნებს.

ასეთია, მაგალითად, ნოველა „უმცროსი“, რომელშიც მწერალს ის აზრი განუსახიერებია, რომ საბჭოთა პატრიოტისათვის გმირობისა და ვაჟკაცობის სარბიელი მოიპოვება არა მარტო ბრძოლის ველზე, არამედ ზურგშიც—ჩვენს ქარხნებსა და მაღაროებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე, ყველგან, ერთიან სამხედრო ბანაკად ქცეული ჩვენი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

ამ ნოველის გმირს, სოფელ ბიჭს ვალიკოს ეგონა, თითქოს სამშობლისათვის თავდადებული ერთგულებისა და ვაჟკაცობის გამოჩენა მხოლოდ ბრძოლის ველზე იყოს შესაძლებელი. მან წითელ არმიაში მოხალისედ წასვლას სურვილი განაცხადა, მაგრამ მისი თხოვნის დაკმაყოფილება შეუძლებელი აღმოჩნდა მცირეწლოვანობის გამო. ნაწყენმა და გულდაწყვეტილმა ჭაბუკმა ოჯახში მუშაობას გული ვეღარ დაუდო და დარდის გასაქარვებლად მაღაროს მიაშურა, იქ იწყო მუშაობა.

მალე ვალიკოს მშობლებსა და მეზობლებს რადიომ აუწყა სასიხარულო ამბავი ვალიკოს მიერ ჩადენილი შრომითი გმირობის, მადნის ნგრევაში მას მიერ დამყარებული სასახელო რეკორდის შეს